როცა გაზეთი საბეჭდად მზად იყო...

გლედი, 4 აგვისტო. ტალ — ლარსენის მატჩის VII, გადადებულ პარტიაში გაკეთდა 76 სვლა. ტალის მწვრთნელის ა. კობლენცის აზრით, ყველაზე უფრო მოსალოდნელი შედეგი ყაიმია.

●

რიგა, 4 აგვისტო. აქ დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. წარმატებით გამოვიდნენ ესტონელი ჩოგბურთელები: კულმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ლენდლოვა, ხოლო ლეიუსმა სძლია მოსკოველ ეგოროვს.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

„არსენალის“ 100 სტარტი

კიევის ლენინის სახელობის ქარხანა „არსენალის“ სპორტულმა კლუბმა უკვე 100 შეჯიბრება გამართა, თუმცა მხოლოდ ერთი წელია, რაც იგი არსებობს. ქარხნის სპორტული მოედნები იშვიათადაა ცარიელი: აქ ხან საამქროს პირველობა მიმდინარეობს, ხან — ქარხნის ჩემპიონატი. ორი არსენალელი უკვე სპორტის ოსტატის ნიშანს ატარებს, ხოლო 6 — სპორტის ოსტატის კანდიდატი გახდა. არსენალელებმა კიევის ოლქის ჯანმრთელობის სპარტაკიადაში I პრიზი მოიპოვეს.

მაგრამ სპორტკლუბის ხელმძღვანელთა მთავარი საზრუნავია — ჩააბან კიდევ უფრო მეტი მუშა-მოსამსახურე ფიზკულტურულ მეცადინეობაში. შეჯიბრების ორგანიზაციის უკეთ მოწყობის მიზნით კლუბმა გახსნა არბიტრთა თავისი სკოლა. მან უკვე მოამზადა სპორტის სხვადასხვა სახის 82 მსაჯი.

ა. ივანოვი.

კიევი.

„სიჭაბუკის“ მწვერვალი

ყირგიზეთის მთამსვლელებმა სპორტის ოსტატ ა. რომანოვის ხელმძღვანელობით მოახდინეს ასვლა უსახელო მწვერვალზე (4205 მ). ყირგიზეთის კომკავშირის 40 წლისთავის მოახლოებულ ზეიმთან დაკავშირებით, მთამსვლელებმა მწვერვალს „ჯაშტიკი“ (სიჭაბუკე) უწოდეს.

ფრუნზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 153 (2873) ● ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

ყარაგანდის ოლქის ქალაქ ბალხაშის სამთომეტალურგიული კომბინატის სააფროსნო კლუბთან გაიხსნა ბავშვთა სპორტული სკოლა. ამ მიმზიდველ სახეობაში აქ იმეცადინებს 10-დან 17 წლამდე ასაკის 300 ვაჟი და გოგონა.

სურათზე: ნორჩი აფროსნები ვარჯიშზე.

ფოტო კ. მუსტაფინისა (საკდესი).

ფ. ჩიქვილაძეც ჩემპიონია!

მოსკოვი, 4 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გასწორდა მსაჯთა კოლეგიის უზუსტობა: მძიმე წონის სამბისტს ფ. ჩიქვილაძეს მიეკუთვნა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. ამრიგად, სამბოში გათამაშებული ოქროს 8 მედლიდან 4 მოიხვეჭეს ქართველმა ფალავნებმა. თქვენ მათ ამ **სურათზე** ხედავთ. მარცხნიდან მარჯვნივ დგანან ა. ზურაბაული, ფ. ჩიქვილაძე, ბ. ბალაკაშვილი და ლ. კაციაშვილი.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: მსუბუქში — ვ. დარაშკევიჩი (მოსკოვი), ქვემსუბუქში — ლ. მოსკალიოვი (ყაზახეთი), მსუბუქში — ს. ველიკოტნი (ლატვია), ქვესაშუალოში — ვ. პოკოტაევი (სარატოვი).

• • •

ესტაფეტა 4 × 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში დამთავრდა მოსკოველი მოსწავლეების — ა. დუნაევის, ვ. ბურეს, ა. პლეტნიოვისა და ლ. ილიჩოვის გამარჯვებით — 8.35,7.

• • •



ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

სპარტაკიადა ქუღებში

დამთავრდა შეჯიბრებები სპორტის 9 სახეობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: I ადგილი — რსფსრ (მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები) — 143 ქულა, II — მოსკოვი — 140, III — უკრაინა — 136, IV — საქართველო — 125, V — ლენინგრადი — 120, VI — ყაზახეთი — 102.

მომდევნო ადგილებზე არიან: ლატვია — 92 ქულა, უზბეკეთი — 90, ბელორუსია — 88, ლიტვა — 85, ესტონეთი — 75, აზერბაიჯანი — 71, მოლდავეთი — 70, სომხეთი — 46, ყირგიზეთი — 45, ტაჯიკეთი — 30 ქულა.

ხუთი შეკითხვა გ. კაჩალინს

„ლელოს“ რედაქციაში შემოდის უამრავი წერილი, რომლებშიც ფეხბურთის გულშემატკივრები სინანულს გამოთქვამენ თბილისის „დინამოს“ ცუდი თამაშის გამო. ჩვენი რედაქციის კორესპონდენტი გუშინ საღამოს ეწვია დინამოელთა უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. კაჩალინს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კითხვა-პასუხებს.

1. რით ხსნით დინამოელთა ძირითადი შემადგენლობის წარუმატებლობას?

— არის ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ყველას ჩამოთვლა, ცხადია, შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავ მხოლოდ ძირითადს. ჩვენი წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ გუნდის ხანგრძლივ შესვენებაში (9 მაისიდან 6 ივნისამდე). შემდეგ კი ორი კვირის მანძილზე მოგვიხდა 5 მატჩის გამართვა (აქედან 3 პირველობაზე, ხოლო 2 — თასზე), რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა გუნდის თამაშზე. ამას დაემატა ისიც, რომ თითქმის ყოველ მესამე დღეს „ჰაერში“ (თვითმფრინავში) ვიყავით გამოკიდული. ირღვეოდა სპორტული წვრთნისა და დასვენების რეჟიმი, რაც, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებდა გუნდის თამაშზე.

სუბიექტურ მიზეზთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წარუმატებლობამ მეტისმეტად ნერვული ატმოსფერო შექმნა გუნდში. ნერვებმა უმტყუნეს გუნდის მთელ რიგ წამყვან მოთამაშეებს.

ამას დაემატა მეკარეების ცუდი თამაში (მოსკოვისა და კიევის „დინამოსთან“, მოსკოვის „ტორპედოსთან“, როსტოვის სკა-სთან, ცსკა-სთან, და რაც ყველაზე უფრო გულსატკენია, მინსკის „დინამოსთან“, თასზე).

კოლექტივის ცალკეული წევრების (ხურცილავა, დათუნაშვილი) ავადმყოფობამ, წამყვანი ფეხბურთელების ნაკრებში გაწვევამ დინამოელთა სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედა. ამასთან, ნაკრების ფეხბურთელთა დატვირთვა მეტად დიდი იყო (30 ივნისს მატჩი „ნეფტიანიკთან“, 4 ივლისს — ბრაზილიასთან, 6 ივლისს—საპასუხისმგებლო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“).

ასეთი დატვირთვა პირველ რიგში დაეტყოთ თავდამსხმელებს. ამის დამამტკიცებელია მათი უღიმღამო შედეგიანობა (1 ბურთი 4 მატჩში). მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რომ გადაღლის, აგრეთვე იმ წყვეტილი დასვენების პერიოდით გამოწვეული მოდუნების შედეგად თამაშს უკლეს თავდამსხმელებმა და ნახევარმცველებმა. ამიტომ ძირითადი დატვირთვა დააწვათ დაცვას და მეკარეებს, ეს კი, სამწუხაროდ, მათს ძალღონეს აღემატებოდა. ადგილი ჰქონდა მოთამაშეთა ტრავმებსაც.

2. რით ხსნით დუბლიორთა წარუმატებლობას?

— უპირველესად, გუნდის არასტაბილურობით. სეზონის თავშივე მას გამოაკლდნენ პეტრიაშვილი და ვეკუა. მთელი რიგი სპორტსმენები ძირითად შემადგენლობაში თამაშობენ. ამიტომ ხშირად გვიხდება მატჩის მეორე ნახევარში მათი შეცვლა. ერთი რამ კი ნამდვილად სასიხარულოა: მაისურაძე, ილიადი, ხართიშვილი, ხუციშვილი, ჭელიძე უკვე ახლა შეგვიძლია თამამად დავაყენოთ ძირითად შემადგენლობაში. დუბლიორთა გუნდის მთავარი მიზანი ხომ ისაა, რომ ღირსეული ცვლა მოუმზადოს ძირითად შემადგენლობას.

3. როგორია ცალკეულ მოთამაშეთა ურთიერთდამოკიდებულება?

— ვერ ვიტყვი, რომ იგი ისეთივე იყოს, როგორც შარშან, მაგრამ ღრმად მწამს: როგორც კი გუნდი შეთამაშდება, ყველაფერი მოგვარდება. კრიზისი, რომელსაც ამჟამად განვიცდით, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და ჩვენ აუცილებლად დავძლევთ მას. ჩვენ სამართლიანად დავიმსახურეთ ტრიბუნების გულისწყრომა. ასეთ სიტუაციაში კი თამაში მეტისმეტად ძნელია. კარგად გვესმის ფეხბურთის მოყვარულთა შეშფოთება და გვჯერა, რომ ამ მდგომარეობიდან მათი დახმარებით გამოვალთ.

4. სასარგებლოდ ხომ არ მიგაჩნიათ საზოგადოებრიობასთან შეხვედრა?

— არამც თუ სასარგებლოდ, არამედ აუცილებელ საჭიროებად. ფეხბურთის მოყვარულთ სრული უფლება აქვთ მოითხოვონ ეს შეხვედრა. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს დროის უქონლობის გამო ასეთი რამ ვერ მოხერხდა. და რაც უფრო მალე მოხდება ასეთი შეხვედრა, მით უფრო კარგი იქნება ეს გუნდისთვის.

5. ვინ ადგენს მინდორზე გასასვლელად ძირითად და დუბლშემადგენლობებს?

— მეორე სეზონია გუნდში ვმუშაობ და არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმე ჩარეულიყოს ამ საქმეში და მით უმეტეს ებრძანებინოს—არა ეს მოთამაშე დააყენე და არა ესო. ძირითად შემადგენლობას მუდამ მე ვადგენ. რაც შეეხება დუბლიორებს, მათ ჩემი უმცროსი კოლეგა ა. კოტრიკაძე განაგებს და მე მითანხმებს ხოლმე.

რადიოტალღაზე

მიუნხენი, 4 აგვისტო. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უ. ჯონსმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ფიბა-ს განზრახული აქვს დააყენოს საკითხი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ქალთა კალათბურთის შეტანის შესახებ. ეს მოხდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მადრიდის სესიაზე 1965 წელს. აქვე გაიმართება საჩვენებელი მატჩი ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის ქალთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

ლონდონი, 4 აგვისტო. პოპულარულმა ფეხბურთელმა ჯონ ჩარლზმა (იგი წარმატებით გამოდიოდა დიდი ბრიტანეთისა და იტალიის წამყვან კლუბებში, უკანასკნელ დროს კი იცავდა „კარდიფ-სიტისა“ და უელსის ნაკრების ღირსებას) ამას წინათ განაცხადა, რომ თავს ანებებს სპორტს. მაგრამ სულ რამდენიმე დღის წინათ მოვიდა ახალი ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩარლზი თავის განზრახვას დროებით ცვლის. კლუბისა და უელსის ნაკრების ხელმძღვანელთა თხოვნით იგი კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს ფეხბურთს. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩარლზი უელსის ნაკრების შემადგენლობაში სსრ კავშირის ნაკრებს შეხვდება.

ბერნი, 4 აგვისტო. ფეხბურთის ევროპულმა ასოციაციამ (უეფა) გადაწყვიტა წლეულს მოაწყოს ევროპის თასის გათამაშება მოყვარულთა შორის. პირველ ტურნირში მონაწილეობის სურვილი 12-მა ქვეყანამ განაცხადა — ავსტრიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, ირლანდიამ, იტალიამ, შოტლანდიამ, ესპანეთმა, თურქეთმა, უელსმა, გფრ-მა და იუგოსლავიამ. პირველი ტურის კენჭისყრა შედგება ციურიხში 24 აგვისტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონთა

7 აგვისტოს, მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ აღიმართება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ფიზკულტურელთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის ალამი. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ლ. გორიანოვმა სთხოვა სპარტაკიადის მთავარ მსაჯს ლ. სვირიდოვს პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

● **გთხოვთ გვიამბოთ პროფკავშირების სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებების ისტორიაზე.**

— პროფესიული კავშირების I საკავშირო სპარტაკიადა გაიმართა 1932 წელს. მაშინ ფინალში მონაწილეობდა 3850 ფიზკულტურელი.

მეორე მსოფლიო ომამდე კიდევ ერთი ამგვარი ასპარეზობა ჩატარდა (1935 წელს). სპარტაკიადაზე გაუმჯობესდა მსოფლიოს 4 რეკორდი. 1946 წლიდან მოყოლებული, პროფკავშირთა სპარტაკიადები ტრადიციული გახდა.

● **მიმდინარე VIII სპარტაკიადა რითიმე განსხვავდება თუ არა მისი წინამორბედებისგან?**

— უეჭველად. უპირველეს ყოვლისა, მასობრიობის ჭეშმარიტი რეკორდულობით. ამ ასპარეზობის წინასწარ სტარტებზე გამოვიდა 12.348.844 კაცი. მოგაგონებთ, რომ სპარტაკიადაში, რომელიც 10 წლის უკან გაიმართა, მონაწილეობდა 3.014.146 სპორტსმენი. წლევანდელი სპარტაკიადის დამახასიათებელია ისიც, რომ მასში პირველად ასპარეზობენ სოფლის სპორტსმენები. და კიდევ ერთი სიახლე. მართალია, სპარტაკიადაში გამარჯვებულთა სახელებს ჩვენ 14 აგვისტოსთვის შევიტყობთ, მაგრამ ეს ასპარეზობა გვიან შემოდგომამდე გაგრძელდება. ფაბრიკებში, ქარხნებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართება მასობრივი შეჯიბრებანი. ეს მეტად დამახასიათებელი თავისებურებაა სპარტაკიადისა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ მილიონთა სპარტაკიადას.

● **ახლა, როცა უკან დარჩა წინასწარი შეჯიბრებანი, როგორ აფასებთ მათს შედეგებს?**

— უნდა ითქვას, რომ სპარტაკიადა მის ყველა ეტაპზე მეტად ორგანიზებულად ჩატარდა და გაამართლა თავისი ძირითადი ამოცანა — რაც შეიძლება მეტი მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდობა მიეზიდა ფიზკულტურასა და სპორტით რეგულარულ მეცადინეობაში, ხელი

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა: **ძალოსნობაში** — კ. ფოფიას (ზუგდიდი).

• • •

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **კლასიკურ ჭიდაობაში** — ე. ბობოხიძეს (ქუთაისი, „დინამო"), **დ. ქინქლაძეს** (ბათუმი, „სპარტაკი"), **ნ. ხანაკოევს** (რუსთავი, „განთიადი"); **სამბოში** — ი. ქაბულოვს (ცხინვალი, „დინამო"); **ძალოსნობაში** — ი. მხითარიანს (თბილისი, „დინამო"); **ტყვიით სროლაში** — გ. ბურჯაკურს, დ. ლუაშვილს, ლ. ვიშნევსკის, ნ. სლივინას, გ. თავდიდიშვილს (თბილისი, „დინამო"), გ. ღუდუშაურს, ა. ელისაკაშვილს, გ. სვატუხას (სოხუმი, „დინამო").

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ მოვუაროთ ხელის გულებს

სპორტული ტრავმების 30 პროცენტზე მეტი ტანვარჯიშზე მოდის, ტანვარჯიშული ტრავმების 70 პროცენტზე მეტი კი — ხელის გულებზე.

იარაღთან ხანგრძლივი შეხების დროს, ხახუნისა და დიდი დატვირთვის შედეგად, ხელის გულებზე წარმოიქმნება სხვადასხვა ხასიათის კოჟრები. ზოგს ძალზე რბილი კანი აქვს და იოლად იგლიჯება, ზოგს კი — მაგარი და ხმელი. ასეთი კოჟრები უმეტესად იბზარება და სკდება, რაც ძალიან მტკივნეულია. ხშირად ხელის გულის დაზიანება ქირურგიულ ოპერაციასაც მოითხოვს (ფლეგმონა.)

სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის ხელის გულების მოვლა.

ისმება კითხვა: სჭირდება თუ არა ტანმოვარჯიშეს კოჟრები?

ეს საჭირო და აუცილებელიცაა ზომიერ ფორმებში. კანის გასქელება მისი მგრძნობიარობის შემცირებას იწვევს. მაგრამ გადამეტებული გასქელება ტრავმის საშიშროებას ქმნის.

მაინც რა პროფილაქტიკური საშუალებანი არსებობს?

ტანმოვარჯიშეთა შორის ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. მექანიკური ხერხი, რაც გამოიხატება უხიფათო სამართებლით გასქელებული კანის აფხეკაში ან აქრაში. ორივე შემთხვევაში ხელები წინასწარ თბილი წყლით უნდა დავიბანოთ, აფხეკის შემდეგ უსწორმასწორო ზედაპირი პემზის ქვით მოვაგლუვოთ და რაიმე საცხი ჩავიზილოთ (ვაზელინი, გლიცერინი). სამართებლის ხმარებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა არ დავაზიანოთ კანი, რაც ხშირად ინფექციის შეჭრას იწვევს.

პროფესორი ა. მინსი თავისი მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით ადასტურებს, რომ ყველაზე ეფექტური საშუალებაა 1-2 საათით 3-პროცენტიანი სალიცილის საცხის ხმარება კვირაში ერთხელ, ღერძზე ვარჯიშის შემდეგ. წინასწარ ხელების თბილი წყლით დაბანა და კარგად გამშრალება აუცილებელია.

არსებობს კიდევ ერთი, პრაქტიკაში დიდად გამოყენებული პროფილაქტიკური საშუალება — ტყავის საფენი ხელის გულზე.

საფენი სხვადასხვა მასალისგან კეთდება, ძირითადად კი ტყავისაგან. კარგია ცხენ-ირმის გამოყვანილი ტყავი.

საფენის სისქე 1-1,5 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. საფენის უკეთ მორგების მიზნით (ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს) აუცილებელია ხელის გულზე საფენის ადგილის წინასწარ მოხაზვა და სქელი ქაღალდისგან თარგის გაკეთება. შემდეგ თარგი ისე უნდა მოვირგოთ ხელის გულზე, რომ თითები ოდნავ მოხრილი იყოს (სურ. 2). ხელზე გაკეთებული თარგი თითების ბოლომდე გაშლის საშუალებას არ უნდა გვაძლევდეს, თითებისთვის ამოჭრილი ადგილი ზუსტად უნდა იყოს მორგებული.

დიდი მნიშვნელობა აქვს საფენის სიგანესაც. როგორც წესი, საფენს შუა და უსახელო თითებზე იცვამენ. საფენის სიგანეც ამ ორი თითის სიგანეს თითქმის არ უნდა აღემატებოდეს. ბოლოში იგი თანდათან ვიწროვდება (სურ. 1).

დიდი მნიშვნელობა აქვს საფენის ბოლოს სარტყელის მობმას. უმჯობესია საფენი მთლიანად ერთი ტყავისგან გამოიჭრას ისე, როგორც მე-3 სურათზეა ნაჩვენები. აქ საფენის ბოლო მომრგვალებულია და მაჯაზე კარგადაა მორგებული. შეიძლება იმავე ფორმაზე სარტყლის მიკერებაც.

სანამ უშუალოდ ტყავისგან გამოვჭრიდეთ ხელის გულის საფენს, აუცილებელია ყველაზე სრულყოფილი თარგის შერჩევა.

პირველად გაკეთებულ საფენს უმჯობესია დაბალ ღერძზე შევეჩვიოთ.

ტყავის საფენი, გარდა იმისა, რომ ხელის გულებს იცავს, ამავე დროს ტაცსაც უფრო საიმედოს ხდის. ერთი რამ მაინც უნდა გვახსოვდეს: ყოველთვის საფენით არ უნდა ვივარჯიშოთ, ვინაიდან ეს კანის გამაგრებას ხელს შეუშლის. მოთელვისა და ზოგიერთი ილეთის შესრულებისას საფენის დახმარებას არ უნდა მივმართოთ.

ტანმოვარჯიშის შედეგები და შრომისუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული ხელის გულების მოვლაზე. ამიტომ ამ საკითხს მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ.

გ. ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.



ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.

[illegible]

◆ ზუგდიდი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფრენბურთში. ქალთა შორის გაიმარჯვა რიყელთა კოლექტივმა, ხოლო ვაჟებში უძლიერესი იყო ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი.

გ. ალშიბაია.

●

◆ მესტია

აქ გაიმართა საინტერესო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში რაიონული ცენტრისა და ტურისტული ბაზის გუნდებს შორის. მესტიელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 5:0.

ბ. მჭედლიანი.

●

◆ გულრიფში

სოფ. დრანდის ახალგაზრდობაში დიდი ინტერესი გამოიწვია ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრებამ. გათამაშებაში I ადგილი დაიკავეს კოდორის ფეხბურთელებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გულრიფშისა და დრანდის გუნდები.

შ. ჯალაღონია.

სპორტული ჩოხატაური

◆ რაიონის პირველობაზე

დამთავრდა რაიონის საკოლმეურნეო ფეხბურთელთა გუნდების პირველობა, რომელშიც 12 ნაკრები მონაწილეობდა. გამარჯვება მოიპოვეს გოგოლესუბნის სპორტსმენებმა.

◆ თასი — გამარჯვებულს

აქაც უძლიერესი აღმოჩნდა გოგოლესუბნის ფეხბურთელთა გუნდი. ნახევარფინალში მას მეტოქეობას უწევდნენ ბუკმარის, განახლების და ერკეთის კოლექტივები. მაგრამ გოგოლესუბნელებმა ყველას აჯობეს.

◆ ლელობურთში...

მიმდინარეობს ლელობურთელთა ასპარეზობა რაიონის თასზე. ბრძოლაში ჩაბმული არიან ჩაისუბნის, ხიდისთავის, გორაბერეჯოულის, ჩოხატაურის, ერკეთის, დაბლაციხის, კოხნარის, ხევის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო კანტორისა და გორაბერეჯოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ლელობურთელები. თასის მფლობელი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობაში.

◆ ბანაკი „გაზაფხულდა"

125 ჩოხატაურელი პიონერი ისვენებს ბანაკში, რომელსაც სახელად ჰქვია „გაზაფხულდა". იგი მდებარეობს შესანიშნავ კურორტ ბახმაროში. ბანაკში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ მუშაობას. აქ მოეწყო ფრენბურთის და მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მარტივი ტიპის მოედნები.

პიონერები გატაცებით მონაწილეობენ შეჯიბრებებში. მათ აგრეთვე ძალიან იტაცებთ ტურისტული ლაშქრობანი.

დ. გურგენიძე.

განახლებული ტრადიცია

საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში წლების მანძილზე მასობრივად იმართებოდა ქართული ჭიდაობა. კასპში, მცხეთაში, დუშეთში, გლდანში თუ სხვა ადგილებში შაბათკვირაობით გაჩაღებული ასპარეზობანი უამრავ სპორტსმენსა და მაყურებელს იზიდავდა.

ერთხანს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ კინაღამ სულაც მივიწყებულ იქნა სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა, მაგრამ აგერ რამდენიმე წელია, რაც ოფიციალურ შეჯიბრებათა გარდა საღამოობით სარბიელებზე კვლავ გაისმის დოლისა და ზურნის სისხლის ამაჩქროლებელი „მოიკიდე, გაღააგდე".

ამ მივიწყებული ტრადიციის გამაახლებელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანნი არიან ავჭალის შუშის ქარხნის აქტივისტები და, კერძოდ, ამ საწარმოს ქართული ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელი ლ. სულიკაშვილი.

ოთხი წელია, რაც მისი ხელმძღვანელობით ავჭალის სადგურთან მოწყობილ საჭიდაოზე ყოველ ხუთშაბათობით და კვირაობით იმართება წარმტაცი შეხვედრები.

ფალავნები თუ ახალბედა მოჭიდავეები მოდიან აქ საჭიდაოდ გლდანიდან, კასპიდან, მცხეთიდან, ზნაურიდან, ახმეტიდან...

• • •

სურათზე: ავჭალაში ჩატარებული ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი.

ტექსტი და ფოტო
ვ. ქისტაურისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკიადა

შეეწყო პროფკავშირელ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისთვის.

მაგალითისთვის ავიღოთ რიგის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა. 2 წლის უკან აქ მხოლოდ 800 სპორტსმენი იყო. ამ სპარტაკიადის მიმდინარეობისას კი ეს ციფრი 3.000-მდე გაიზარდა.

სპარტაკიადას შეუძლია იამაყოს არა მარტო მასობრიობით, არამედ მაღალი შედეგებითაც. 1000-ზე მეტმა მონაწილემ გადააჭარბა ოსტატის ნორმას, 25.000-მა კაცმა — I თანრიგს, გაუმჯობესდა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების 20.000 რეკორდი, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკების 3.000 მიღწევა. ამავე პერიოდში დამყარდა მსოფლიოს 8, ევროპის 9 და სსრ კავშირის 40 რეკორდი. მსოფლიო რეკორდსმენთა შორის არიან მოცურავე ს. ბაბანინა (100 მ ბრასით — 1.16,5), ოლიმპიური ჩემპიონი, ძალოსანი ა. ვახონინი (აკვრა — 140 კგ) და სხვ. სპარტაკიადამ ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა გამოავლინა.

● **როგორია სპარტაკიადის ფინალური ნაწილის პროგრამა?**

— ფინალური შეჯიბრებანი კარგახანია დაიწყო, უკვე დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა, მოჭიდავეთა, კალათბურთელთა, ნიჩბოსანთა და სხვა ასპარეზობანი. და მაინც, სპარტაკიადის კულმინაცია ჯერ კიდევ შორსაა. სპარტაკიადის ალამი საზეიმოდ აღიმართება 7 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს დღე ფიზკულტურელთა გრანდიოზულ დღესასწაულად გადაიქცევა. მის პროგრამაშია მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები, მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების აღლუმი, მძლეოსანთა შეჯიბრებები და, ბოლოს, უძლიერესი პროფკავშირული გუნდების — დედაქალაქის „ტორპედოსა" და „სპარტაკის" ფეხბურთელთა მატჩი.

მოსკოვი და მოსკოველები გულითადად, დედაქალაქისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ მოკავშირე რესპუბლიკების წარმოგზავნილთ.

დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია იღებს ფილმს სპარტაკიადაზე.

პროფკავშირთა VIII საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედის ყველა ოლიმპიური სახეობა, შეიძლება მივიჩნიოთ პირველ და მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩვენი ძალების შემოწმების იმ გზაზე, რომელიც ოლიმპიური მეხიკოსკენ მიემართება.

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი

გათამაშების ცხრილი

მეორე ჯგუფი. I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 5 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	22	12	7	3	27—13	31
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	22	9	10	3	24—15	28
„ავანგარდი" (ხარკოვი)	21	11	4	6	27—19	26
„შახტიორი" (ყარაგანდა)	22	8	9	5	21—14	25
„ტრაქტორი" (ვოლგოგრადი)	21	7	9	5	19—16	23
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	22	7	8	7	13—14	22
„ტრუდი" (ვორონეჟი)	22	5	11	6	16—15	21
„ვოლგა" (გორკი)	22	6	9	7	21—23	21
„ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი)	22	8	5	9	25—29	21
„სპარტაკი" (გომელი)	22	6	9	7	16—21	21
„ლოკომოტივი" (ვინიცა)	22	5	10	7	19—17	20
„თერგი" (გროზნო)	22	6	7	9	24—29	19
„სტროიტელი" (აშხაბადი)	22	6	7	9	20—27	19
„ლოკომოტივი" (თბილისი)	22	6	6	10	25—30	18
„ენერგეტიკი" (დუშანბე)	22	5	8	9	20—25	18
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	22	5	7	10	19—29	17

შედეგი: მორიგი ტურის მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფში: „შახტიორი" (ყარაგანდა) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:3, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 0:0, „ვოლგა" (გორკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 4:3, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ლოკომოტივი" (ვინიცა) 1:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:0, „ავანგარდი" (ხარკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1.0.

გუშინ...

კიდევ ერთი მარცხი

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და კიევის დინამოელთა დუბლშემადგენლობანი.

სტუმრებმა საუცხოოდ ითამაშეს. მათ ყველა რგოლში აშკარად დაჯაბნეს მასპინძლები და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს — 2:0.

8 მატჩი

„ბ" კლასი

გუშინწინ გაიმართა „ბ" კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის (რსფსრ-ს IV ზონა) მორიგი კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები: „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (სოხუმი) 3:1, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „კოლხიდა" (ფოთი) 3:1, „უროჟაი" (მაიკოპი) — „ენგური" (ზუგდიდი) 5:0, „შრომითი რეზერვები" (კისლოვოდსკი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1. „ფოლადი" (სუმგაითი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:2. „ლერნაგორცი" (კაფანი) — „დინამო" (ბაქო) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 0:2.

გზა ფინალისაკენ — ხსნილია

ოჩამჩირეში დამთავრდა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ზონალური ასპარეზობა ფეხბურთში 1947-48 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, სომხეთის, ლენინგრადისა და საქართველოს კოლექტივები.

წარმატებით ითამაშა ჩვენმა გუნდმა. პირველ დღეს, როგორც ვაუწყებოდით, იგი შეხვდა რსფსრ-ს ნაკრებს და გაიმარჯვა — 2:1. მეორე ტურში საქართველოს გუნდმა ფრედ (1:1) ითამაშა ლენინგრადელებთან, ბოლო დღეს კი დაამარცხა სომხეთის კოლექტივი (4:1) და I ადგილი დაისაკუთრა. გუნდი ასპარეზობისთვის მოამზადა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. იიაშვილმა.

II ადგილი დაიკავა რსფსრ-ს გუნდმა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო ლენინგრადელებს — 1:0.

საქართველოსა და რსფსრ-ს გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც კისლოვოდსკში გაიმართება.

ი. რუხაძე,

„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ფიზიკური მომზადებისა და სპორტის განყოფილების უფროსი.

ხულიგნები — მინდვრიდან შორს!

წერილი რედაქციას

ამას წინათ ლაგოდეხში გაიმართა მორიგი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ყვარლის „დურუჯსა" და ლაგოდეხის „მერეთს" შორის.

„დურუჯი" ტრადიციისამებრ გულშემატკივართა ამალით გვეწვია, რომელთა შორის... ხულიგნებიც ერივნენ. ჩვენ არ შევუდგებით თამაშის აღწერას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი მიმდინარეობდა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით. ყვარლელი ფეხბურთელები უხეშობდნენ, ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯს ჯ. ნოდიას. თამაშის 65-ე წუთზე კი „დურუჯის" მცველმა გ. მოლაშვილმა, რომელიც განსაკუთრებით თავაშვებულად იქცეოდა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

როცა არბიტრმა მას მინდვრის დატოვება მოთხოვა, ხულიგანმა მისკენ საცემად გაიწია, რითაც ბიძგი მისცა ყვარლიდან ჩამოსულ „გულშემატკივართა" ჯგუფს. ამ ჯგუფში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყვარლის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი რ. ავაზაშვილი. იგი მინდორში შევარდა და მსაჯს ყელში წვდა...

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ყვარლელთა ეს ხულიგნური გამოხდომა, საქმეში რომ ლაგოდეხის საზოგადოებრივი დაცვის მუშაკები არ ჩარეულიყვნენ. დაშავებულმა მსაჯმა თამაში ველარ გააგრძელა. 4000-მდე მაყურებელი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

ყვარლელ გულშემატკივართა და ფეხბურთელთა ასეთი საქციელი მით უფრო საწყენია, რომ შარშან ამ ორი რაიონის სპორტსმენები ერთი გუნდის — „დურუჯის" ღირსებას იცავდნენ.

ამას წინათ გაზეთ „ლელოში" აღნიშნული იყო ყვარლელ ფეხბურთელთა უხეშობისა და ხულიგნობის სხვა ფაქტებიც. განა დრო არ არის მინდვრიდან და სტადიონიდან გავაძევოთ ხულიგანი ფეხბურთელები და მათი დამქაშები?!

ლაგოდეხელ გულშემატკივართა სახელით:

შ. კაპანაძე,
საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ნ. მენთეშაშვილი,
საქართველოს კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი.

მ. ოჯაკიშოვი,
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი.

ა. ჩუთლაშვილი,
„კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

◆ **ბონი**, 4 აგვისტო. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე მატჩი გამართა გფრ-ის ჩემპიონთან — „ფიუსენთან" და კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად ანგარიშით 12:2.

◆ **რომი**, 4 აგვისტო. კორტინა დ' ამპეცოში ერთმანეთს შეხვდნენ ბრნოსა და სტოკჰოლმის ჰოკეისტები — „ზკლ" და „აიკი". ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონებმა დაამარცხეს „აიკი" — 6:3.

◆ **პარიზი**, 4 აგვისტო. გალეას თასი — ევროპის ჭაბუკ ჩოგბურთელთა არაოფიციალური გუნდური პირველობა — მოიგეს ჩეხოსლოვაკიელებმა. სამშაბათს ვ. კოროტკოვი დამარცხდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების „პირველ ნომერთან" — ი. კოდეშთან — 3:6, 7:5, 5:7, 1:6. ამ წარმატებამ გადაწყვიტა ფინალური მატჩის ბედი — 3:2. მაშინ, როცა ...

ინფორმაციის საათი!

ნამდე ა. ივანოვმა მოუგო მ. ლაუდინს — 10:8, 6:2, 6:2. საბჭოთა ჩოგბურთელები II ადგილზე გავიდნენ.

◆ **ოსლო**, 4 აგვისტო. ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის განმეორებით მატჩში ნორვეგიის ნაკრებმა აქ დაამარცხა პოლონელთა გუნდი — 7:4. მაგრამ ფინალისტთა ჯგუფში შევიდნენ პოლონელები, ვინაიდან მათ პირველი თამაშში ბურთების უკეთესი სხვაობით მოიგეს — 10:5. როგორც ცნობილია, ჩემპიონატის ფინალური ნაწილი გაიმართება გფრ-ში გვიან შემოდგომაზე. „ოქროსთვის" მებრძოლი 8 პრეტენდენტიდან ამჟამად უკვე ცნობილია 5. ესენი არიან რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდები. ფინალის 3 დანარჩენ მონაწილეს გამოავლენს მატჩები: დანია — ისლანდია, იუგოსლავია — აშშ, ჩეხოსლოვაკია — იაპონია.

◆ **ვარნა**, 4 აგვისტო. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მუდმივი ევროპული კომისიის სესიაზე დამტკიცდა კონტინენტის მორიგი ჩემპიონატების ჩატარების თარიღი და ადგილი. ქალთა პირველობა გაიმართება რუმინეთის ორ ქალაქში კლუჟსა და ბრაშოვში **1966 წლის 1-10 ოქტომბერს, ხოლო ვაჟთა ტურნირი — ჰელსინკში 1967 წლის 27 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე.**

სვლები ეთერში

ჭადრაკი

სსრ კავშირის ყველა საზღვაო ნაოსნობის 32 გემის ათი ათასზე მეტი მოჭადრაკე-მეზღვაური მონაწილეობდა XVII რადიოტურნირში.

თითქმის ხუთ თვეს ოკეანეებსა და კონტინენტებზე ეთერში დაფრინავდნენ რადიონიშნები, რომელთაც მორიგი სვლები მიჰქონდათ მოჭადრაკეებთან.

„ა" კლასში, ისე როგორც შარშან, გამარჯვება მოიპოვეს შავზღვეელებმა. მათს პირველ დაფაზე თამაშობდნენ თბომავალ „როვნოს" მეზღვაურები.

„ბ" კლასში საუკეთესო იყო შორეული აღმოსავლეთის საზღვაო ნაოსნობის გემთა ეკიპაჟები. მომავალი წლიდან ისინი „ა" კლასში გადავლენ და დაიკავებენ კასპიელთა ადგილს, რომლებიც უმაღლეს კლასში ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ. „ბ" კლასში გაიმარჯვა კასპიელთა II გუნდმა.

გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ სამახსოვრო ვიმპელებითა და „ვოდნიკის" ცენტრალური საბჭოს სიგელებით.

გუშინ...

თბილისში, ავიამოდელისტთა საკავშირო პირველობაზე ასპარეზობდნენ სარბოლი მოდელები. ფინალში გავიდნენ უკრაინელები — რადჩენკო — შაპოვალოვი, კრასნორუტსკი — ბაბიჩევი და რსფსრ-ს ორეული — კობეცი — ზოლოტოვერხი. ოქროს მედლები მოიპოვეს რადჩენკომ და შაპოვალოვმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინელმა ავიამოდელისტებმა.

წრაფმავალი მოდელებით ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ე. მოსიაკოვმა. მის მიერ დამზადებულმა მოდელმა საათში 219 კმ სისწრაფე განავითარა და 1 კილომეტრით აჯობა ვერცხლის პრიზიორს, რსფსრ-ს გუნდის წევრს ა. ლაპინინს.

სურათზე: ე. მოსიაკოვი მოდელის გაშვების წინ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

22 დღე „ტურ დე ფრანსის“ გზებზე

სამი კვირის მანძილზე მთელი დასავლეთ ევროპა გულმოდგინედ ადევნებდა თვალს „ტურ დე ფრანსის“ ბატალიებს. და აი, 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, 40 ათასი პარიზელი და მრავალრიცხოვანი უცხოელი გულთბილად მიესალმნენ მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული ველორბოლის მორიგ, 52-ე ჩემპიონს. ფრანგების კერპის რ. პულიდორისა და ნაკლებად ცნობილი იტალიელის ფ. ჯიმონდის დაძაბული ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

„ტურ დე ფრანსის“ წინა ჩემპიონთა შორის იტალიელს იშვიათად შეხვდებით. ეს საპატიო წოდება მხოლოდ ოთხ იტალიელს აქვს მოპოვებული: ორ-ორჯერ — ო. ბოტეკიას, დ. ბარტალის, ფ. კოპის და ერთხელ გ. ნენჩინის. ეს არის და ეს.

და აი, ახალი ბრწყინვალე გამარჯვება! რბოლის დამთავრების დღეს იტალიის პრეზიდენტმა სარაგატმა გამარჯვებულს სპეციალური დეპეშა გაუგზავნა: „მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა იმ ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც აგრეთვე იტალიური სპორტის გამარჯვებაა“.

ახალგაზრდა იტალიელი რბოლის დაწყებამდე არც ერთ გაზეთს არ მიაჩნდა საპრიზო ადგილის პრეტენდენტად. მაგრამ რაც დრო გადიოდა, პრესის ტონი თანდათან იცვლებოდა ჯიმონდის სასარგებლოდ. რბოლის ბოლოს კი მას თვით ლეგენდარულ ფაუსტო კოპისაც ადარებდნენ. სახელგანთქმული ჟაკ ანკეტილის თქმით — „ჯიმონდი ფენომენია“.

ფელიჩე ჯიმონდი მე ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ვნახე. მაღალი (182 სმ), ტანმსხმელი (წონა 73 კგ), ჰარმონიულად განვითარებული 22 წლის იტალიელი სტარტისთვის მშვიდად ემზადებოდა. მას ყურადღებას არც კი მიაქცევდით, მისი ტიტული რომ არ გცოდნოდათ: „ტურ დე ლავინირის“ 1964 წლის ჩემპიონი. ჯიმონდის ტოკიოში სენსაცია არ მოუხდენია, მან მხოლოდ 33-ე ადგილი დაიკავა. მაღალი შედეგებით იტალიელი არც უკანასკნელ მსოფლიო პირველობაზე გამოირჩეოდა (26-ე ადგილი).

და აი, მიმდინარე სეზონის დასაწყისში ჯიმონდი პროფესიონალებში გადავიდა. მაისში მან „ჯირო დ' იტალიაში“ IV ადგილი დაიკავა, ორი კვირის შემდეგ კი „ჯიროს“ ჩემპიონ ვ. ადორნისთან ერთად, „სალვარანის“ ფირმის გუნდის შემადგენლობაში „ტურ დე ფრანსის“ სტარტი აიღო. აქ ამ გუნდის გარდა, სხვა 12 კოლექტივი იბრძოდა. გამარჯვებულისთვის დაწესებული იყო დაფნის გვირგვინი და საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯილდო — 35 მილიონი ლირი. „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს სხვადასხვა დროის ექვსმა ჩემპიონმა განაცხადა. აქ იყვნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონებიც და სხვა მრავალდღიან ველორბოლებში გამარჯვებულნიც. ფავორიტთა შორის არ იყო მხოლოდ „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონი ჟაკ ანკეტილი.

სურათზე: რ. პულიდორი.

სპეციალისტთა უმრავლესობა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა ანკეტილის მთავარ მეტოქეს რაიმონ პულიდორს. ფავორიტთა შორის ასახელებდნენ იტალიელ ვ. ადორნის, ბელგიელ რ. ვან ლოის 22 წლის იტალიელს დ. მოტას, ესპანური „ჰუელტისა“ და კროსში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს გერმანელ რ. ვოლფშოლს და სხვ. მხოლოდ ანკეტილმა თავის ერთ-ერთ წერილში გამარჯვების კანდიდატთა შორის ფ. ჯიმონდიც დაასახელა.

და აი, 22 ივნისს, კიოლნში (გფრ) ველორბოლას სტარტი მიეცა. ბელგიის ქალაქ ლიეჟში ფინიშთან პირველი იყო რ. ვან ლოი, მეორე დღეს კი რბოლამ საფრანგეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

რუბეში ყველას მიასწრო ჰოლანდიელმა ვან დე კერკჰოვმა, რომელმაც ამ გამარჯვებით ხელთ იგდო საერთო ლიდერობა. „ტურ დე ფრანსის“ დებიუტანტი ფ. ჯიმონდი II ადგილზე აღმოჩნდა. გავიდა კიდევ ერთი დღე და რუანში იტალიელმა ყველაზე ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ჯიმონდის საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლიდერის ყვითელი მაისური. ახალგაზრდა ველოსიპედისტის ამ პირველ წარმატებას არავინ მიაქცია სერიოზული ყურადღება. საერთო აღიარებით, შედარებით იოლი პირველი ეტაპების მოგება რბოლის ყველა წევრს ძალუძს. სულ სხვა საქმეა, როდესაც ტრასის რუკაზე აღინიშნებიან პირენეი და ალპები.

და, მართლაც, VIII ეტაპზე ჯიმონდი ოთხი ადგილით უკან გადადის. უძლიერესნი ემზადებიან პირენეის იერიშისთვის. IX ეტაპზე სპორტსმენებს დასაძლევი ჰქონდათ ორი მწვერვალი—უბისკუ (1710 მ) და ტურმალე (2113 მ). შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ ამ დღეს საერთოდ დაამთავრა რბოლა. დისტანციას გამოეთიშნენ ფავორიტებიც. ადორნი, ვოლფშოლი, ვან დე კერკჰოვი. საბედისწერო ტრასა მოიგო ესპანელმა ჟ. ჟიმენესმა, ჯიმონდი კი ფინიშთან VI იყო. ამ წარმატებამ მას ლიდერის ყვითელი მაისური დაუბრუნა. მაგრამ.. იტალიელს მიუახლოვდა რბოლის მთავარი ფავორიტი რ. პულიდორი. მათ შორის განსხვავება 3 წუთსა და 12 წამს [illegible].

4 მომდევნო ეტაპი შედარებით იოლი გამოდგა და ლიდერთა შორის არსებითი ცვლილება არ მომხდარა. XIV ეტაპზე, რომელიც 20-კილომეტრიანი აღმართით მთავრდებოდა, პულიდორმა პირველად სცადა ახალგაზრდა იტალიელის მოსინჯვა. ეტაპის დასაწყისში ლიდერები ერთ ჯგუფად მიდიოდნენ. სიმშვიდე პირველად დ. მოტამ დაარღვია, რითაც კარგად ისარგებლა პულიდორ—ჟიმენესის წყვილმა და წინ გაიჭრა. მოტა თვით გახდა საკუთარი აქტიურობის მსხვერპლი: ეტაპზე მან მხოლოდ XIV ადგილი დაიკავა. ჯიმონდიმ, რომელიც ფინიშთან მეოთხე იყო, შეინარჩუნა ლიდერის მაისური, თუმცა პულიდორთან სხვაობა 34 წამამდე შემცირდა და უკვე არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ პულიდორი „მოინელებდა“ ახალგაზრდა მეტოქეს.

რბოლის ტრასაზე ერთ-ერთი გადამწყვეტი უბანია XVI ეტაპი. მასზე განლაგებული ორი ურთულესი უღელტეხილი—ვარზი (2111 მ) და იზოარი (ტრასის უმაღლესი წერტილი, 2360 მ) ბევრისთვის ხშირად საბედისწერო ხდება. ამიტომ აქ წარმატება, როგორც წესი, „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებას ნიშნავს. 50-კილომეტრიანი აღმართის შემდეგ ვარზის მწვერვალს პირველად ხუთმა ველოსიპედისტმა მიაღწია, რომელთა შორის ვხედავთ პულიდორსაც ჯიმონდი ამ ჯგუფთან 1 წუთზე მეტს აგებს. იტალიელმა თითქოს დაკარგა ლიდერის მაისური, მაგრამ 20-კილომეტრიან დაღმართზე მან საარაკო სიჩქარე განავითარა (ალაგ-ალაგ საათში 90 კმ!). ახალგაზრდა იტალიელის გაბედაობა და თავგამოდება ყოველგვარ საზღვარს გაცდა. იგი ჯერ თვალში ჩაუჯდა პულიდორს, შემდეგ კი 4 წამით გადაუსწრო მას და ფინიშთან მესამე მივიდა. ეტაპზე გამარჯვება ესპანელ ჟ. გალერას ხვდა წილად.

XVII ეტაპით დამთავრდა ძნელი და მომქანცველი ტრასა ალპებში. ესპანელების უპირატესობა აქ აშკარა იყო, რომლებმაც მოიგეს კიდევ 3 პირველი ადგილი. პულიდორს ჯიუტ იტალიელთან ანგარიშის გასწორების უკანასკნელი შანსი ეძლევა. მაგრამ 27-კილომეტრიან აღმართზე დაყოფილმა სტარტმა ჯიმონდის მარაგი კიდევ 23 წამით გაზარდა. პულიდორი მას 1 წუთითა და 12 წამით ჩამორჩებოდა. მაგრამ ფრანგი იხტიბარს არ იტეხდა. „მე კიდევ ვიბრძოლებ,“ — განაცხადა მან. და აი, პულიდორს აშკარად ეხმარებიან ფრანგი ანგლადი, ესპანელი ჟიმენესი და მსოფლიო ჩემპიონი, ჰოლანდიელი ჟ. ჟანსელი.

მომდევნო 3 ეტაპი სპრინტერულია და მას სწორედ სპრინტერები იგებენ: ბელგიელი ვან ლოი, ინგლისელი მ. რაიტი და ჰოლანდიელი გ. კარსტენსი. ლიდერთა შორის კი მდგომარეობა უცვლელია. პულიდორს აშკარად გამოელია ქანცი — იგი ნერვიულობს. „ჯიმონდში ეშმაკის სული ზის“, — საქვეყნოდ აცხადებს გაბოროტებული ფრანგი. მართლაც, იტალიელს უკვე განვლილი 4 ათასი კილომეტრის შემდეგ ოდნავადაც არ ეტყობა დაღლილობა.

უკანასკნელი ეტაპი ვერსალი — პარიზი. 38 კილომეტრი დაყოფილი სტარტით და პულიდორის უკანასკნელი შანსი. რბოლის ლიდერი სტარტს ბოლოს იღებს. მასზე ორწუთნახევრით ადრე ფინიშისკენ პულიდორი გაემართა. მე-5 კილომეტრის შემდეგ უკვე აშკარა ხდება, რომ ჯიმონდის ვერაფერი შეაჩერებს: ფინიშთან წამზომებმა პულიდორთან შედარებით 1 წუთით და 8 წამით უკეთესი დრო აღნიშნეს.

მაყურებელთა მქუხარე ტაშში, მილანის ერთ-ერთი ფირმის ავტომძღოლი ფელიჩე ჯიმონდი „პარკ დე პრენსის“ ტრეკზე საპატიო წრეს უვლის. საღამოთი კი ახალი კონტრაქტებით დამძიმებული (იგი იმავე დღეს 70 შეჯიბრებაში მიიპატიჟეს) ჩემპიონი სამშობლოში გაემგზავრა.

მ. ბარამია.

უცხოური სპორტი

ტოკიოდან მილანამდე — ველოსიპედით

19 წლის იაპონელმა სტუდენტმა ტაკაფუმი ოგასვარამ გადაწყვიტა იაპონიიდან იტალიაში მოგზაურობა... ველოსიპედით. ტოკიოდან სტარტის შემდეგ, ოგასვარა გემით მივიდა ჰონკონგში. აქედან ვიეტნამის, კამბოჯის, ტაილანდის, სინგაპურის, ცეილონის, ინდოეთის გავლით მან მიაღწია აფრიკის კონტინენტს. ჩრდილოეთ აფრიკიდან იაპონელმა სტუდენტმა ევროპაში ამოყო თავი. ესპანეთისა და საფრანგეთის გავლით, ოგასვარა ჩავიდა მილანს.

იაპონელმა სტუდენტმა უჩვეულო მოგზაურობაში 8 თვე დაჰყო. გზაში მას ჩვიდმეტჯერ მოუხდა საბურავების გამოცვლა.

მას ფული არ სჭირდება

კენჭისყრით დადგინდა, რომ პირველი უნდა გადახტეს სალვადორელი ჩემპიონი. მას მიჰყვნენ ჩემპიონები შვეციიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან...

სტადიონზე 15 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ისინი მოუთმენლად ელოდნენ მსოფლიო პირველობის დაწყებას, რომელიც 1928 წლიდან სისტემატურად იმართება კალიფორნიაში.

სტარტზე გამოიძახეს პირველი მხტომელი. სტადიონი გაინაბა. ნახტომი! „7 ფუტი, 5 დიუმი!“, — აცხადებს დიქტორი. იმედგაცრუებული სტადიონი გუგუნებს: ეს შედეგი საგრძნობლად ჩამორჩება წლევანდელი სეზონის საუკეთესო მაჩვენებლებს. მწვრთნელების თანხლებით ახალ-ახალი მხტომელები გამოდიან სარბიელზე.

და აი, ბოლოს, გამარჯვებულიც! იგი გახდა ტულე ჯიმი, რომელსაც გადაეცა პირველი პრიზი — 350 დოლარი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას კი არ გადაეცა, არამედ მის პატრონს. ამ სპორტსმენს ფული არ სჭირდება. იგი ხომ ჩვეულებრივი ბაყაყია!

არ გაუშვეს...

ვაშინგტონი, 4 აგვისტო. პრესის დარგში სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, მარშალმა რაიტმა დაადასტურა ცნობა, რომ ამერიკელ მოჭადრაკე ბობი ფიშერს უარი ეთქვა კუბაში წასასვლელი პასპორტის გაცემაზე. გამოჩენილ დიდოსტატს აქ მონაწილეობა უნდა მიეღო ხოსე რაულ კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო დეპარტამენტი წინათ ცალკეულ შემთხვევებში ამერიკელ ჟურნალისტებს აძლევდა კუბაში წასვლის უფლებას. ფიშერი ვარაუდობდა შეჯიბრების მსვლელობა გაეშუქებინა ჟურნალებში „სატერდეი რევიუსა“ და „ჩესს ლაიფში“. ორივე გამომცემლობამ მოჭადრაკეს მისცა პირადობის მოწმობა, რომელიც რედაქციებთან მის შეთანხმებას ადასტურებდა. სამწუხაროდ, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ყურად არ იღო იგი იმ საბაბით, რომ ფიშერის კუბაში გამგზავრების მთავარ მიზანს ტურნირში მონაწილეობა შეადგენს, ჟურნალისტური საქმიანობა კი მეორეხარისხოვანი საქმეა.

თავისი ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო დეპარტამენტმა ხაზი გაუსვა მისწრაფებას — განაგრძოს შეურიგებელი, მკაცრი პოლიტიკა კუბის მიმართ, არ დაუშვას დაძაბულობის ოდნავი შენელება ამ რესპუბლიკასთან.

[illegible]

გლდანის მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატი 1965-66 სასწავლო წლისთვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სპორტის შემდეგ სახეობებსა და კლასებში: ფეხბურთი — VII კლ.; მძლეოსნობა — VII, VIII, IX კლ.; ველოსპორტი — VIII, IX კლ.; ჭიდაობა — VII, VIII, IX კლ.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ორივე სქესის მოსწავლენი: VII კლასში — 13 წლისანი; VIII კლასში — 14 წლისანი; IX კლასში — 15 წლისანი.

ინტერნატში სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე, საერთო-ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით. სპორტული მუშაობა ხორციელდება საწარმოო სწავლების წესით.

სკოლა-ინტერნატი ამზადებს ახალგაზრდა სპორტსმენ-მოსწავლეებს, რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრებს, რომელთაც ხშირად უხდებათ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში.

სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, სპორტული თანრიგი, მსაჯის წოდება და მწვრთნელის თანაშემწის უფლება სპორტის იმ სახეობაში, რომელსაც ისინი აირჩევენ.

სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულნი სწავლის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებიან გაძლიერებული კვებით, ბინითა და ტანსაცმლით (საერთო წესის თანახმად). დამატებით მათ უსასყიდლოდ მიეცემათ სპორტული ფორმა.

ინტერნატში შემსვლელმა წინასწარ უნდა გაიაროს შემოწმება-გამოცდა სპორტის იმ სახეობაში, რომელსაც აირჩევს.

გამოცდები იწყება ა. წ. 23 აგვისტოდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტსკოლის სტადიონზე (ორჯონიკიძის ქ. № 52-ა).

სკოლა-ინტერნატში შესვლის მსურველებმა დირექციაში (გარდაბნის რაიონი, გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატი, ტრამვაი № 11, ავტობუსი № 24) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: დაბადების მოწმობა (დედანი); მოსწავლის მშობლის განცხადება; წლიური ნიშნების ფურცელი; ცნობა მშობლების ხელფასის შესახებ; ცნობა კმაყოფაზე მყოფ პირთა შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (პოლიკლინიკიდან, ფორმა № 286); სამი ფოტოსურათი 3×4.

გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატის დირექცია.

ჯერჯერობით 3 : 3

ბლედი, 4 აგვისტო. გუშინ ტალ — ლარსენის მატჩის VIII პარტიაში დანიელმა დიდოსტატმა (შავებით) პირველად გამოიყენა სიცილიური დაცვა. ტალი ამ დებიუტის კარგი მცოდნეა და მან ენერგიული თამაშით მალევე პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. სპეციალისტების აზრით, ლარსენს შეუძლია ყაიმისათვის იბრძოლოს.

დღეს დამთავრდება VII და VIII პარტიები. ჯერჯერობით ანგარიში 3 : 3.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.